სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს მეორე სართულზე არსებული ვენტილაცია, კონდეცირება, გათბობის სისტემის დემონტაჟის, ახალი ჰაერსადენი მილების შესყიდვის და მონტაჟის შესახებ.

ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას.

სს „სილქ ბანკი“ ტენდერში მონაწილეობისათვის გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის - tenders.ge მეშვეობით.

ტენდერის ჩატარების შემდგომ, დაზუსტების მიზნით მიღებული ყველა ინფორმაცია ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

აუცილებელია სამუშაოებთან დაკავშირებული რისკების შეფასების დოკუმენტის მომზადება შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის მიერ სამუშაოების დაწყებამდე და სამუშაოების მიმდინარეობისას შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის უზრუნველყოფა.

მომსახურების აღწერა:

შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შენობის მე-2 სართულის ვენტილაცია და კონდენცირების სისტემის არსებული მილების დემონტაჟს, ახალი ჰაერსადენი მილების შესყიდვას, მონტაჟს და მათი შეფუთვის ისეთ გადაწყვეტას (თანდართული ახალი პროექტის თანახმად და პროექტანტებთან შეთანხმებით), რომელიც ვიზუალურად შეამცირებს და ნაკლებად ხმაურიანს გახდის სისტემას.

- მეორე სართულის ახალი გეგმარების პროექტი - დანართი N4
- ბანკის HVAC სრული პროექტი - დანართი N5

მიწოდების ადგილი - თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2

მონაწილეობის პირობები:

- ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების გაწევის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება, რომლის დამადასტურებლადაც უნდა იქნეს წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია PDF ფორმატში:
- დანართი N 1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა
- დანართი N 2 - ინფორმაცია ვენტილაცია, კონდენცირება და გათბობის სისტემის დიაგნოსტიკა, ნაწილობრივი განახლების ან/და მოდერნიზაციის ჩატარებული სამუშაოების შესახებ (თავისუფალი ფორმით)
- დანართი N 3 ხარჯთაღრიხვის ცხრილი

შემოთავაზების მიღება დაიწყება 13/12/2023 10:00 სთ-ზე და დასრულდება 19/12/2023 18:00 საათზე.

დამატებითი მოთხოვნები :

ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია ანგარიშსწორების ანგარიში ჰქონდეს სს „სილქ ბანკი“-ში.

დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, გთხოვთ კითხვები მოიწეროთ procurement@silkbank.ge მისამართზე.

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი : შალვა ლეჟავა ტელ: 577362888

ელ.ფოსტა procurement@silkbank.ge sh.lezhava@silkbank.ge

მადლობა დაინტერესებისათვის.